



27 ივნისი, 2017

პრეს-რელიზი

OGP-ის მმართველი კომიტეტი მიესალმება მის ახალ წევრს - გიორგი კლდიაშვილს

ვაშინგტონი - 15 ივნისი, 2017 - ჩვენ, „ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP), მივესალმებით ჩვენი მმართველო კომიტეტის ახალ წევრებს სამოქალაქო საზოგადოებიდან: გიორგი კლდიაშვილს, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) დამფუძნებელსა და დირექტორს, და ტურ-ოდ ლხაგვაჯავს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა მონღოლეთის“ თანადამფუძნებელსა და პრეზიდენტს.

OGP-ის მმართველი კომიტეტი შედგება 11 მთავრობისა და 11 სამოქალაქო საზოგადოების ლიდერისგან და მისი თანათავმჯდომარეები არიან საფრანგეთის მთავრობა და მანიშ ბაჰანა „მსოფლიო რესურსების ინსტიტუტიდან“. მმართველი კომიტეტი OGP-ის აღმასრულებელი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა, რომელიც მიმართულებას აძლევს ორგანიზაციას და აყალიბებს პარტნიორობის ძირითად პრინციპებსა და წესებს.

OGP არის ღიაობისა და დემოკრატიის გაღრმავებისკენ მიმართული მსოფლიო მოძრაობა, რომელიც უპირისპირდება მთავრობებისა და სამოქალაქო სივრცის ჩაკეტვას. OGP დაარსდა 2011 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 8 მთავრობისა და 9 სამოქალაქო საზოგადოების ლიდერის მიერ. დღეს ის მოიცავს 75 ცენტრალურ მთავრობას, 15 რეგიონულ მთავრობასა და ათასობით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას.

მმართველი კომიტეტის წევრობის კონკურსში 29 კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან ჯერ 10, ხოლო შემდეგ 2 შეირჩა. კონკურსის მიმართ გამოჩენილი ამხელა ინტერესი კიდევ ერთხელ მიუთითებს ღია მმართველობის მოძრაობის გლობალურ წარმატებაზე.

გიორგი კლდიაშვილს შესრულებული აქვს საკონსულტაციო პროექტები ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, როგორცაა USAID, UNDP და ევროკავშირი, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, იგი გახლავთ არაერთი პუბლიკაციის ავტორი თემებზე: ინფორმაციის თავისუფლება, კორუფციასთან ბრძოლა და კარგი მმართველობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, ელექტრონული მმართველობა და ელექტრონული დემოკრატია, ღია მონაცემები, საჯარო სამსახური და საჯარო ადმინისტრირება, მედია და ინტერნეტი. ის საქართველოს პარლამენტთან არსებული ღია მმართველობის პარტნიორობის [ფორუმის](#) თავმჯდომარეა სამოქალაქო საზოგადოებიდან. 2013 წლიდან, გიორგი საქართველოს უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს წევრი და ამ საბჭოს ინფორმაციის თავისუფლების სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეა.

გიორგის არჩევა საქართველოსთვის მნიშვნელოვან მომენტს ემთხვევა: 1 ოქტომბერს საქართველოს მთავრობა საფრანგეთისგან OGP-ის თავმჯდომარეობას გადაიბარებს, ხოლო თბილისი იმ 15 ქალაქთაგანია, რომელიც მონაწილეობს OGP-ის რეგიონული მთავრობების პირველ საპილოტე პროგრამაში.

„OGP-ის მმართველ კომიტეტში არჩევა ჩემთვის დიდი პატივი და შესაძლებლობაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველო OGP-ის თავმჯდომარეობისთვის ემზადება“, - განაცხადა გიორგიმ. „მე მჯერა, რომ OGP-ის პლატფორმის საქართველოში მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. OGP-ის პრინციპებს, როგორცაა მოქალაქეთა გაძლიერება, ინფორმაციის თავისუფლება, მთავრობის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, ტექნოლოგიები და ინოვაცია, შეუძლია საგრძნობლად გაზარდოს მოქალაქეების ნდობა მთავრობებისა და პარლამენტებისადმი და უზრუნველყოს მოქალაქეთა თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.“

OGP-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიმართულების დირექტორი პოლ მასენი შემდეგი სიტყვებით მიესალმა გიორგი კლდიაშვილს მმართველ კომიტეტში არჩევას: *„გიორგი ღია მმართველობის რეფორმების გულმხურვალე მხარდამჭერია. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მიერ მნიშვნელოვანი ვალდებულებების აღებასა და შესრულებაში და, უფრო ზოგადად, ღია მმართველობის დღის წესრიგის გაძლიერებაში. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ღია მმართველობის ფორუმის ინსტიტუციონალიზაციაში, რომელიც OGP-ისთან დაკავშირებული მუდმივი დიალოგის ძლიერ მექანიზმად ჩამოყალიბდა. როგორც სამოქალაქო საზოგადოების ლიდერმა, მან ბევრი რეფორმატორი შთააგონა, როგორც საქართველოში, ისე მთელ აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში.“*

OGP-ის შესახებ:

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) დაფუძნდა 2011 წლის 20 სექტემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, როდესაც 8 ქვეყნის მეთაურმა და 9 სამოქალაქო საზოგადოების ლიდერმა მხარი [დაუჭირეს ღია მმართველობას](#) და გამოაქვეყნეს OGP-ის პირველი [ეროვნული სამოქმედო გეგმები](#). დღესდღეობით, OGP მოიცავს 75 ცენტრალურ მთავრობას, 15 რეგიონულ მთავრობას, 7 საეთაშორისო ორგანიზაციას და ათასობით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, რომლებმაც ჯამში 3000-ზე მეტი ვალდებულება აიღეს ღია მმართველობის კუთხით, რათა მხარი დაეჭირათ გამჭვირვალობისთვის, გაეზარდათ მოქალაქეთა თანამონაწილეობა, ებრძოლათ კორუფციასთან, და გამოეყენებინათ ახალი ტექნოლოგიები, რათა მთავრობა გაეხადათ უფრო ღია, ეფექტური და ანგარიშვალდებული.

OGP-ის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ ჩვენი [ვებგვერდი](#), [ბროშურა](#), [Facebook](#)-ის გვერდი და [Twitter](#)-ის ანგარიში. ასევე, გამოიწერეთ ჩვენი [სიახლეები](#) და [გაზეთი](#), ან უყურეთ ჩვენ მიერ მომზადებულ ფილმებს: „[OGP-ის ხუთი წელი](#)“ და „[OGP-ის ისტორია](#)“.

კითხვით ან ინტერვიუს თხოვნით დაგვიკავშირდით:

რეიჩელ ოსტროუ - rachel.ostrow@opengovpartnership.org

*მერი მახარაშვილი, IDFI-ის კომუნიკაციების მენეჯერი - +995 599 500 137;
m.makharashvili@idfi.ge*

[OGP-ის მმართველი კომიტეტის არჩევნების, განრიგისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ აქ.](#)